


IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



კა არის ხელოვნები ჩდევები?

ბროშურა დაფინანსებულია არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრის (ICNL) მიერ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) მადლობას უხდის ICNL-ს ბროშურის მომზადებაში მხარდაჭერისთვის. ICNL შესაძლოა არ იჩიარებდეს მასში გამოთქმულ მოსამარებებს. მის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია IDFI.



რა არის ხელოვნური ინტელექტი?

„მანქანურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემა, რომელსაც შეუძლია ადამიანის მიერ განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით, შეიმუშაოს პროგნოზები და რეკომენდაციები, ან მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს რეალურ ან ვირტუალურ გარემოზე“.

— კურნომიკური განვითარებისა და თანამშრომელობის ორგანიზაცია (OECD)

„მეცნიერებების, თეორიების, ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომლის მიზანია ადამიანის კოგნიტური უნარების რეპროდუცირება მანქანის მიერ. არსებული განვითარების დონის გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტი ნიშნავს ადამიანის მიერ გასაკეთებელი რთული ინტელექტუალური დავალებების მანქანისთვის დელეგირებას.“

— ევროპის საბჭო

„ხელოვნური ინტელექტი ახასიათებს ისეთ სისტემებს, რომლებიც გარემოს ანალიზით, ავლენს ინტელექტუალურ ქცევას და დამოუკიდებლობის გარკვეული დონით, ახორციელებს ქმედებებს კონკრეტული მიზნების მისაღწევად.“

— ევროკომისის მაღარი ჩანგის ექსპერტთა ჯგუფი

საჯარო სიკერობის
ხელმისაწვდომობის
გამოყენების გრძელებაზე
მუნიციპალიტეტის
იკვეთება



რისთვის იყენება როგორი მირითაღად ხელოვნურ ინტელექტს საჭარო სამსახურში?

- აღსრულება:** საჭარო მიმღებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების აღსრულება, მონიტორინგი და ინსპექტირება.
- საჭარო პოლიტიკის კვლევა, ანალიზი, მონიტორინგი**
- საჭარო სერვისების მიწოდება და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა**
- სოციალური დახმარების მიმღებთა იდენტიფიცირება**
- შიდა დოკუმენტბრუნვის სისტემები და მენეჯმენტი: ადამიანური რესურსების მართვა, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ.**

საქართველოს სამსახურის ხელოვნული ინტელექტის გამოყენების ესპერიენციალი



ეფექტური განვითარება

ყველაზე მნიშვნელოვანი საქმის კეთება, გაზრდილი შესაძლებლობები, ადამიანური შეცდომების დაშვების რისკის შემცირება



ოპტიმიზაცია

ხარჯების შემცირება, ადამიანური და დროითი რესურსის მაქსიმალური დაზოგვა, ხარისხის გაზრდა და ა.შ.




სიახლეების დაცვა

განახლებული ბიზნეს-მოდელები, კრეატიულობა, ინოვაციურობა

ხელოვნული ინტელექტის საერთაშორისო სამსახური

დღესდღეობით არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის საყოველთაოდ შეთანხმებული სამართლებრივი ჩარჩო და მარეგულირებელი სტანდარტები.

წარმოგიდენთ სხვადასხვა საერთაშორისო აქტორის მიერ ხელოვნური ინტელექტის სისტემებთან დაკავშირებით შემუშავებულ პრინციპებს.



OECD-ის ხელმისაწვდომობის ინდიკატორის პრიცენტები



- ინკლუზიური ზრდა, მდგრადი განვითარება და კეთილდღეობა
- ადამიანზე ორიენტირებული ღირებულებები და სამართლიანობა
- გამჭვირვალობა და ახსნადობა
- სიმტკიცე, უსაფრთხოება და საიმედოობა
- ანგარიშვალდებულება

ეკონომიკური ხელმისაწვდომობის მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოყენები ეთიკური ხასების სახით ხელმისაწვდომობის გასახებ



ხელოვნური
ინტელექტი უნდა იყოს
კანონშესაბამისი




ის უნდა იყოს ეთიკური
და პასუხობდეს ეთიკურ
და ღირებულებით
პრინციპებს



ის უნდა ქმნიდეს ძლიერ და
მედეგ გარემოს, როგორც
ტექნოლოგიური, ასევე
სოციალური კონიუნქტურის
გათვალისწინებით

ხელმისაწვდომობის გასახებ ეთიკურ გზაგვევაზე დასახელდება ხელმისაწვდომობის გასახებ გრძელი პრიცენტები:

- ტექნოლოგიაზე ადამიანური ზედამხედველობა
- ტექნოლოგიური სიძლიერე და უსაფრთხოება
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და მონაცემების მართვა
- გამჭვირვალობა
- მრავალფეროვნება, არადისკრიმინაციულობა, სამართლიანობა
- სოციალური და გარემოსდაცვითი კეთილდღეობა
- ანგარიშვალდებულება



ევროპავითოს, ევროპის საბჭოს და სხვა ევენების ეთიკური მუნიციპალიტეტის ანალიზის საფუძველზე 11 მნიშვნელოვანი ეთიკური მუნიციპალიტეტის გამოიყოს:



1. გამჭვირვალობა - გულისხმობს ალგორითმებისა და მონაცემთა დამუშავების მეთოდების საჭაროობას, ასევე, მონაცემთა სუბიექტებისთვის პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ ინფორმაციის გამუშავებას.



2. სამართლიანობა - გულისხმობს ალგორითმების ისე შექმნა/გამოყენებას, რომ მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ინკლუზიის, მრავალფეროვნების, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპი. ეს პრინციპი ასევე მოიცავს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და შესაძლო კომპენსირების მიღების შესაძლებლობასაც.



3. ზიანისგან დაცვა (უსაფრთხოება, სიფრთხილე, მთლიანობა) - ხელოვნურმა ინტელექტუალური არ უნდა გამოიწვიოს განმრავალებული თუ გაუფრთხილებლობითი ზიანი. ამისთვის, მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მათი ინტერესების მხედვებლობაში მიღება, კანონმდებლობის მოთხოვნათა თანმიმდევრულად აღსრულება, ზედამხედვებლობის პროცესებისა და შემოწმების, მონიტორინგისა და აუდიტის პრაქტიკის დამკვიდრება.



4. პასუხისმგებლობა (ანგარიშვალდებულება) - ტექნოლოგიის ნაცვლად, უფლებამოსილი პირი/ორგანო უნდა იყოს პასუხისმგებელი ხელოვნური ინტელექტის სისტემების ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებსა და დამდგარ შედეგებზე.



5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალურობის დაცვა.



6. სარგებლიანობა - ტექნოლოგია მიმართული უნდა იყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის, ზოგადსაკაცობრიო წინსვლისა და ადამიანის ფუნდამენტური ღირებულებების დაცვისკენ.



7. თავისუფლება და ავთონობა - ხელოვნური ინტელექტი ხელს უნდა უწყობდეს არაერთი უფლებისა და თავისუფლების რეალიზებას, მათ შორის გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციულ თვითგამორკვევას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პიროვნული ავტონომიის უფლებების დაცვას.



8. სახდომია - მნიშვნელოვანია, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემა სარგებლობდეს როგორც მომხმარებლის, ასევე, მისი შემქმნელის ნდობით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განათლება, სისტემების საიმედოობა, მონიტორინგი და შეფასება.



9. მდგრადობა - გასათვალისწინებელია ხელოვნური ინტელექტის გავლენა ეკოსისტემაზე, ბიომრავალფეროვნებაზე, შრომით ბაზარსა და უმუშევრობაზე, მონაცემების მდგრად დამუშავებაზე.



10. დირსება - ადამიანის ღირსების დაცვის მაღალი სტანდარტი ჩადებული უნდა იყოს ხელოვნური ინტელექტის სისტემის შექმნისპერისტის პროცესში.



11. სოლიდარობა - ეს პრინციპი დაკავშირებულია შრომით ბაზარზე ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემატიკასთან, რათა ამ ტექნოლოგიის გამოყენებით არ შეიქმნას სოციალური მდგრადობის საფრთხე. ამისთვის, გათვალისწინებული უნდა იყოს პოტენციურად დაუცველი პირებისა და მოწყვლადი ჯგუფების ინტერესები.



რეპოზიტორის საქართველოსთვის



საქართველოში ხელოვნური ინტელექტის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის, ეროვნული კონცეფციის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნა



საჯარო სექტორის, როგორც ხელოვნური ინტელექტის დანერვის ფასილიტატორისა და ინიციატორის როლების განსაზღვრა



ხელოვნური ინტელექტის გამოყენება თაღლითობის, კორუფციის და სხვა გავრცელებული „მავნე პრაქტიკის“ წინააღმდეგ



ხელოვნური ინტელექტის სისტემების იმპლემენტაციისას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დაწერვა



ეკონომიკური უთანასწორობისა და სოციალური დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მაქსიმალურად თანაბარუფლებიანი გარემოს შექმნა



ეროვნულ დონეზე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, აკადემიურ-კვლევითი ცენტრების, ბიზნეს ორგანიზაციების, საჯარო უწყებებისა და დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით, თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება



საჯარო სექტორში პოტენციური სერვისების/ სფეროების იდენტიფიცირება



ალგორითმების მიერძოებისა და დისკრიმინციული მიდგომების მაქსიმალური შეზღუდვა

ମୁଖ୍ୟ ପରିକାଳିକା



თ. გვერდის ქ. №20, 0180 თბილისი



+ 995 32 292 15 14



INFO@IDFI.GE



WWW.IDFI.GE